

1915

საქართველოს
ბიბლიოთეკა



საუბრე

ქუჩა

მკვირთი წოდებულია.



საბჭო № 15. 1915წ.

გზაგალობა

განც. საქართველოს
N 160.

წელიწადი მე-XI.

№ 15

აგვისტო, 1915.

F75
1915

F241



ლიბიტრი მჩხანელი, შიო მღვიმელი და ვაჟა-ფშაველა.

ბიბლიოთეკის
განცემის
მუშაობის
განყოფილება

შ ი ნ ა ა რ ს ი :

I—სურათი	1
II—„ნაკადულის“ მკითხველები:— 1, არჩილ ელიაძე, როსტოვი, —2, მიშა და თამარ სააკაშვილები, გორი.—3 ბნ, ვალენტინა და ვიქტორია დარჩიები, ჯუმათი, — 4, ვალენტინა ლომთათიძე, ხიდისთავი—გურიაში, —5, ასიკო ცაგარელი, თბილისი, —7 და 8, თამარ და გოგია კაციტაძეები—ქიათურა . . .	3
III—ვაჟა-ფშაველას ხსოვნას, —ლექსი, შიო მღვიმელისა	4
IV—ვაჟა-ფშაველა, —ილ. ნაკაშიძისა	6
V—დაქრილი მწყერაჩიტა, —ლექსი დ. ელიოზიშვილისა	9
VI—მიშიკოს თავგადასავალი, —დ. კილოსანიძისა	11
VII—უჩინარი მეგობრები, —თარგმანი ე. ა—სი,	16
VIII—წერილი რედაქციის მიმართ	23
IX—გასართობი: რებუსი და აღსნა	24

„საბავშვო“



მედიკალიზაცია
— მისთვის —
საბავშვო მედიკალიზაცია

მკითხველები



დ. კლდიაშვილი და ვაჟა-ფშაველი.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნას.

ნუ, ნუ იტირებთ, ბაღღებო,
ჭირიძე თქვენი გულისა;
ჯერ თქვენთვის ნაადრევად
გაგება რაძე წულულისა.

ვინ გითხრათ ვაჟა-ფშაველას
სიკვდილი, გადაცვალება?
ეს რომ შულის ნუკრმა შეიტეოს,
გულს შემოიურის თვალებსა.

აბა უეურეთ—რა კოსტად,
რა მშვენივრადა ცქრიალებს,
მწვანე ველს ვკუნტრუშება,
ვაქას თვალ წინა ტრიალებს.

ხედავთ ხის ტოტზე ქედანსა,—
მტრედთან როგორა დუღუნებს?

წუაროც სომხისეჲქ მოსჩქეფავს
 და ჩადუნებში დუდუნებს!

და თუ რამ ავი გაგეგო
 მერცხალს კუდ-მაკრატელასა,
 წვენით და მწარე ჭიკჭიკით
 მიუკენესებდა ვეელასა.

ნიძა სბო, დეკნა, ბოზოლა—
 სულ ერთად აზმუვდებოდნენ,
 ქორბუდიანის თვალებიც
 ცრემლებით აივსებოდნენ.

სძელი კენწერო წიფლისა
 წვლამდე ჩამოსძებოდა,
 და ვაჟას „ჩსიკვთა ქორწილი“
 უეცრად დაგლოვდებოდა.

სანამდის წუარო ჩქრიალებს
 და ჩვენი ერი იქნება,
 ჩემო ცელქემო, უკვდავად
 ვაჟა სულ თქვენთან იქნება.

სუ, სუ იტირებთ, გენაცვათ,
 კვნესამე თქვენი გულისა:
 თქვენთვის ვერ ნადრევი
 გაგება რამე წელულისა.

შიო მღვიმელი.





ვაჟა-ფშაველა

(ლუკა რაზიკაშვილი)



ელს, 27 ივლისს, მძიმე ავადმყოფობისაგან გადაიკვალა თბილისში ჩვენი ძვირფასი ჰოეტი ვაჟა-ფშაველა, ლუკა რაზიკაშვილი. საქართველოს უველა კუთსიდან მოვიდა ხალსი და ჰატივი სცა მიცვალებულის ცხედარს.

ვაჟა უველას უვეზრდა, უველას უვეზრდა იმისი ნაწერები, იმისი მშვენიერი ლექსები და აბეები. ჩვენი „ნაკადულის“ მკითხველებსაც უვეზრ-

დათ ვაჟა, არა ერთხელ წაუკითხავთ იმისი ნაწერი ჟურნალის ფურცლებზე.

ვაჟა ღარბი დედამის შვილი იყო, ფშავეთის მთებში დანი-
 ბადა და ბავშვობა მწვემსობაში გაატარა. უთუოდ მაშინ შეუვეარდა
 ჩიტები, ზეჰელები, ცხოველები, აშწვნებული მინდორველები,
 დიდებული მთები; უთუოდ მაშინ შეიბრალა ვეველა სულდგმუ-
 ლი, რადგან მოსიევარულე გული უცემდა საგულეში. ზაწია
 ჩიტს რომ დანიჭერდა, ესმოდა მისი გამწარებული გულის
 ძვერბა, ესმოდა, როგორ სწუროდა ამ გულს სიცოცხლე, შის
 შუქსე ჰვარში ნავარდი, თავისუფლება. აჩქარებით ჰფეთქდა,



ვაჟა-ფშაველა (ჯვარი აქვს); მარცხით ი. ველოშვილი, ბანანა (ვაჟის შვი), შიო მღვიმელი და
 ვაჟის შვილი. დანან ვაჟის ძეგბი—თედო და ალექსანდრე რაზიკაშვილები

ტოკავდა ზოეტის სელ ქვეშ ჩიტის გული და უსიტვეოდ ესვე-
 წებოდა:—გამიძუი, სიცოცხლეს ნუ მისზობ, იმ სიცოცხლეს,
 რომელიც მოსიევარულე დმერთმა თანასწორად მიანიჭა ვე-
 ლას ამ წუთი-სოფელში საბედნიეროდანო.

რაც ზოეტს ამ ჩიტის მწარედ მფეთქავა გულმა უსიტვე-
 ოდ უთხრა, შემდეგ მან თავის ნაწერებში სიტვეებით გამოს-

თქვა, შეგვპოვობინა და შეგვავებარა ეველა უბედური, დაჩაგრული სულდგმული.

ობოლმა შელის ნუკრმაც აუხუეა გული ჩვენ ზოეტს: უთსრა, როგორ დაჭკარება მან დედა, როგორ მოუკლეს იგი უწუალა მონადირეებმა, რა საშინელ სატანჯველში ჩააგდეს ზაწია შევლი, რომელსაც მრავალი მტერი კარს ეხვია; ამიტომ ეოა ველ წუთში შიშისაგან გული უკვდებოდა და უფანცქალეებდა.

შელის ნუკრის ნაამბობი ზოეტმა შემდეგ ჩვენ ვეიაშბო, აგვპირბა, გული აგვირუეა.

ნურავის ნუ სტანჯავთ, ნურავის ნუ სჩაგრავთ, ნურავის ნუ უსზობთ ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს,—სთხოვს მონიუვარულე ზოეტი თავის ძეითხველებს, და თუ ჩვენ მართლა გულით გვივარს ჩვენი ძვირფასი მწერალი, ეს თხოვნა უნდა აუსრულოთ.

კარგად იცნობდა ვაჟა მთიულ ხალსს, თავის მეზობლებს, ფშავ-სეკსურებს, იცნობდა და ჩვენც კვაცნობდა თავის მშვენიერ ლექსებში.

— შეხედეთ, როგორ არწივის ბუდესავით მიძალულა მთის გულზე ფშაველების ზაწია სოფელი,—კეკუბება ვაჟა,—იცით, რამდენი გასაჭირი ადგია კარზე ამ ხალსს, ამ მთის შვილებს: უგზობობა, მკაცრი ზამთარი, სასტიკი ქარბუქი, შიმშილწუწურვილი. იტანჯება მთის ხალსი, მაგრამ მაინც გულს არ იტეხს, მეზობელი მეზობელს ეხმარება, სტუმარი ღვთის მოციქულად მიანნია, და მტერიც რომ მოვიდეს მასთან სტუმრად, სიევარულით გაუმასწინძლდება, თავის ღარიბ ქონში ღამეს გაათევიანებს და არავის ნებას არ მისცემს, რომ ძვირფას სტუმარს საწუენად თითი შეახსოს.

როცა ვაჟან ლექსებს ვკითხულობთ, გვესმის, როგორ სძლებს, როგორ ცხოვრობს მთის ხალსი ამ მიუვალ კლდეღრეებში, გვესმის კარგად, რომ მთიი შემწე—მძობაერთობა, ერთმანეთის დახმარებაა.

აი რას კვასწავლიდა უდროოდ ჩვენგან განძორებული ძვირფასი ზოეტი, აი რამ შეკრიბა მის კუბოსთან საქართველოს ეველა კუთხის ხალსი ჭ ღრმა მწუხარება გამოათქმევინა. ილია ნაკაშიძე.



დაჭრილი მწყერ-ჩიტა.



აჰ, რა მან მახარებდა
გასაფხულის ვარდი, ია,
მოქათხათე მთვარის შუქი,
ბუღბუღოთ ნაზი ტია-ტია!..

მაღალ ბუჩქის ნარსე ვიჯექ,
ლექსებს ვმღერდი საამურად,
ჩემს შეგობრებს უმანოდი,
უკოცნიდი თვალებს ძმურად.

მაგრამ... აჰმა მონადირემ
ჩუქად გვერდი ჩამიარა;
თვალი მომკრა... დამიძისნა...
თოფმა უცებ იგრიბლა.

ფრთა მომტყნა... ჩამოვარდი,—
თვალოთ სინათლე დამიბნულდა;
ცხარე ცრემლი გადმოვუარე,
კულიც მწარედ ამიძვერდა.

მონადირემ მძებნა, მძებნა,
ვერა ჰპოვა ჩემი კვალი;

გულ-მოსულმა მიმატოვა
 და განავრძო თვისი გზანი.

აქა ვდგევარ... შავ მიწაზე!
 დაუფრთხილობ საცოდავად;
 ჭრილობიდან სისხლი მომდის,
 ედინება ბალახს ნამად.

ვაჭ უბედურს!.. საცა არის,
 სულსა დაუღევე მე ეული...
 რას მერწოდა მონადირე,
 ის უღვთო და ის წვეული!?

დ. ელიოზიშვილი.





მიუიკოს თავგადასავალი.

(მოთხრობა)

I



ცოდე, ჩემო კარგო, რომ სიფრთხილე საჭირო და ძვირფასი საქონელია! — ეუბნება დინჯად დათვი — დედა თავის უმცროს შვილს, რომელიც ზის უკანა ფეხებსზე და უაზროდ აბრიალებს თვალებს.

— შესძის, სიფრთხილე...

— ტუილად კი არ უთქვამს ადამიანს:

„სიფრთხილეს თავი არ სტკივაო!..“

— რაა ეგ ადამიანი, წამდა-უწუშ რომ ახსენებ ზატვიან-ცემით?

— ჭმ, რაა! სასლიკაცი და ნათლიძაძა შენი, უტვინო! რამდენჯერ მითქვამს, რომ ადამიანი ეველასე საშიში მტერია შენი გვარისა! მკელი რო ხარბია — ეს ხომ უსუსურმა ცხოველებმაც კარგად იციან! მელიას სიეშმაკე ხომ საარაკო შეიქნა;



ადამიანის ჭკუა კი სწორედ რომ გასაოცარია! ჩვენი გვარნი
 რომ განთქმულია ლაპარაკის ნიჭით, მაგრამ სუსტია ჩემი ენა,
 რომ ადამიანი ავიწერო; ეჰ, არც ჭღირს: თვითონ შეიგნებ
 როდისმე! ნათქვამია: „მთა მთას ვერ შეხვდება, კაცი კაცს კი
 შეხვდება“. მე კი ვიტყვი: „კაცი დათვის კი შეხვდება“.

ამ დროს კარში მოისმა მელისა სმა:

— შინა ბრძანდები, მეზობელო?

— მობრძანდი, მობრძანდი: დიდად მოხარული ვარ!

მელია შეცუნცულდა და ჰირფრობით მიესალმა დათვის.

— საქმე გქმნება, თორემ ისე რას შემოივლიდი ჩემსა.

— მიმიხვდი, სწორედ რომ ბრძენო: დიდი-დიდი სათხო-
 ვარი საქმე მქვს. მანატიე, რომ გაწუხებ, მაგრამ სხვა გზა
 არ არის. მოკლედ მოგიჭრი, დაძაბულე და აიუვანე ჩემი უფ-
 როსი შეილი შეკირდად. უკვე სწავლების დროა. შენზე კარგსა
 და გამოცდილ მასწავლებელს კი მე ჩვენში არ შევხვდრეივარ.
 აი, თუნდა ხეზე გასვლა ავიღოთ: სომ არ გეყოლება ამში
 ცალი!—წაუქონა თავი მელამ.

სტეუოდა გაიმეფრა! შვილის შეკირდად მიბარება მოისა-
 ბაბა, ნამდვილად კი დათვის გამახზინძლების იმედი ჭქონდა.
 მაგრამ, როდესაც დააპირა წასვლა, დათვი გამოემშვიდობა და
 არა სთხოვა დარჩენილიყო ნადიმზე.

დაუპატიეებელ სტუმრის წასვლისთანავე დათვი ამაყად
 მიუბრუნდა შვილს:

— სომ გაიგონე. რა სთქვა მელამ! მამ ეური მიკდე, თუ
 ჭკუა გაქვს! მაღლობა გაძენს, უფასო მასწავლებელი გეაქვს;
 მერე როგორი გამოცდილი, მთელ ცხოველთა სამფლობელოში
 ცნობილი!—ამ სიტყვებთან ერთად დათვმა წაიბუზღუნა კმაყო-
 ფილებით და ტუნები აილოკა.—ჰო, მართლა! მინდა მოგა-
 გონო, რომ თაფლი ნამეტანი სასარგებლო საჭმელია; ამას
 თვით ადამიანიც ამბობს. მაგრამ გასწავდეს, რომ თაფლის

მოვის დროს ისე უუტკარს არ უნდა გაუფრთხილდე, გორც ადამიანს; კარგად გახსოვდეს ეს!—დათავა დარიგება დათეძა, რომელიც მართლა დარწმუნებული იყო, რომ წინებული მასწავლებელია.

— მახსოვს, მახსოვს!—უპასუსა ბურღუნით შვილმა და სინარულის ნიშნად ერთი-ორჯერ გადაკოტრიალდა.

II

დათუნას საკმაოდ მოჭბეზრდა დედის გაკვეთილი. ამიტომ, მიწვა თუ არა, მაშინათვე მიემინა. მიემინა, მაგრამ თითქოს არ სძინებიაო. სიძმარსა ჰყვდავს. წინათაც კი ბევრჯერ უნახავს, მაგრამ მის ნორჩ მესსიერებას არაფერი დაჰსსომებია... აი გაიარა მშვენიერი ნაძვის და ფიჭვის ტეე; შივ მოჩუნსუნებს ანკარა, ცივი წვარო: დედის რმესავით თბილი როდია.

— დაილოცოს შენი გამშენი!—ფიქრობს დათუნა და ჰირს იბანს.

სადამოს ძილს მისცემია ტეე. იქ სიჩუმე გამეფებულა. ერთად-ერთი მისი სტუმარი—ჭვინტა: მოფრინდება უჩუმრად ნაკადულის ნაპირზე, ერთ-ორჯელ ჩაქნევს გრძელ კუდს, და ისევე გაფრინდება... აი, მინდორიც! ნაშუადღევის მზე უწვალოდ იკბინება. ჭრიჭინებს აბესარი სმაურობა აუტენიათ. დიდი სიამოვნებით ჩაწვეეტინებდა სმას, მაგრამ ტუეილია ცდა: მეტად ტლანქი და მოუსემაზია იგი ჰაწია ჭრიჭინების დასაჭერად. გადასჭრა მინდორი და შევიდა სამინდის ენაში. მისი ეურადღება მიიქცია აქ მსსვილმა ტარომ. მიუჯდა და შეექცევა... გემრიელია, მეტია ლაპარაკი! მეორესაც წასწვდა, მაგრამ ამ დროს მოესმა სმაურობა. ეს იყო ადამიანის სმა:

— არიქა, დათვი შემოსულა ენაში; კვიშველეთ, ხალხო!

— თოფი, ძაღუ თოფი!



— ეს დასაქცევი, როგორ ახრამუნებს სიძინდს!

უცხად რაღაცამ იჭექა; გახნდა ცეცხლი და დათუნა მოედვა. დათუნამ დაიწყო საშინელი ღმუილი. ეცა მას ღედა და გა-
მოაღვიძა. შვილმა უამბო სისმარი.

— ფრთხილად უნდა იყო, ჩემო კარგო; არ ავიხდეს სის-
მარი!

— ეჭ, შენც დაიწეებ სოლმე ბებურსავით ლაპარაკს! არ
ავიხდეს სისმარი! თუ სისმარი სისულელე არაა, მამ ცეცხლი
რად ფრინავდა!

— აი, სწორედ ეგ არის ადამიანის ჭკუის დამატკიცებუ-
ლი: ძარტო რომ ცეცხლს აფურენდეს, არაფერი; თითონაც
ფრინავს, თუცა ფრთები არ ასწია!

— კარგია, კარგი, შიში არ გადმოძღო!..

III

მზე დასავლეთს უახლოვდებოდა, როდესაც დათუნა გავიდა
ჭირველად საკეების საძოვრელად. ბუნაგში ეოფნა მოჭბესრდა.

გული მინდვრისაკენ ეწეოდა. ახლოს აღმოჩნდა ნაძვის
და ფიჭვის ტყე, შიგ—გრილი წყარო.

— აი, დაღახვროს გამჩენმა, ლამის სისმარი ამიხდეს! არ
მივალ წყაროსთან შუბლის გასაკრილებლად: იქნება ამ გზით
ავიცდინო სისმრის მწარე დასასრული!

ამ დროს გვერდზე გაუფრინა ჭვინტამ, რომელიც წუა-
როსაკენ მიეშურებოდა.

— მიეშურე, კუდცანცარავ, მიეშურე, და წაიღე თან შორს-
შორს ჩემი სისმრის მოგონებაც!

— ტუილია! ვერ აიცდენ უბედურებას, ვერ წაუსვალ მაინც
ბედსა!— წენარად უზასუსა ჩიტუნამ და გაჭქრა.


ბურღუნა ჰატარა ხანს შესდგა, იფიქრა და გაბედულად გაუდგა ისევ თავის გზას. გავიდა თუ არა მინდორში, ჭრიჭინების სიმღერამ გაუჭყდა უურები.

— ურუ მანც ვოფილიუბუ ასკატცივით, რომ ამ საძაგელ ჭრიჭინების უმსვავს სიმღერის სმა არ გამეკო!— ამ სიტყვებთან ერთად ბურღუნამ დაიცო თათებით უურები და ძუნძულთ შეიჭრა სიმინდის უანაში. მაგრამ შეჭრა და ცბიერ ადამიანის მიერ დაგებულ ხაფანკში გაბმა ერთი იუო. ჯერ-ჯერობით იმედი ჰქონდა თავის დახსნისა; ამიტომაც სმა არ ამოუღია; როდესაც კი, დიდი ცდის შემდეგ, დაჰქარვა იმედი, მართო ღრიალი; მოცვივდა აუარებელი ხალსი. ერთმა მოსულთაგანმა, უეკლასედ უფრო მეტის მოლაპარაკემ, თოკით შეკრული დათუნა წაათრია სახლში.

დავ. კილოხანიძე

(დასასრული იქნება)





უჩინარი მებოგრები



მ გზებზე, სადაც სძირად ურმები და დილა საღამოს საქონელი დადის, და იქ, სადაც სოფლის ნახირი სძოვს, საღამოობით შვეი-ძლიათ შეაძნით შავი პოლურჯო ბუსან-კალი, რომელსაც ჩასსმული, მოძრგვალა

ტანი, მაგარი მრგვალი თავი და ღონიერი, დაკბილულ-ძუს-ლებიანი წინა ფეხები აქვს. ამგვარი ბუსანკ-ლები ფუსფუსებენ მიწაზე ცხენისა და პრო-სის ფეხებთან, მისდევენ მათ უკან. დაეცემა თუ არა ახალი ნესვი მიწაზე, მაშინვე ჩნდება იქ ბუსანკლები. ჩქარა, თითქოს არ უნდათ ძვირ-ფასი დრო დაკარგონ, აცოცდებიან ნესვზე, იწე-ბენ მუყაითად ჭამას და მიწაში ნესვის ჩაფლას.



ნესვის კიო.

— ეს სომ ნესვის ჭიებიან?— იტყვით თქვენ, სიხლით ცხვირს მადლა ასწევთ, უკეპურად თვალს მოავლებთ იმათ მუშაობას. თქვენ კი არ იცით, რომ ეს ბუსანკლები თქვენი კეთილ-მოყოფენი არიან: წუნარად და უჩინარად აკეთებენ ისინი თავის დიად საქმეს, არ ელიან თქვენგან მადლობას და თვი-თონაც არ იციან, რომ დიდი სარგებლობა მოაქვთ ეველა სულდგმულთათვის, იმათ შორის თქვენთვისაც, რასაკვირველია.

ძართლა და, აბა წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ მთელი უსუფთაობა, რომელიც მიწაზე ბლომად იურება, და ეველა ცხოველის ლეში— ისევე დედამიწის ზედაპირზე რჩებო-ბოდას! ეველა გაიხრწნებოდა, ჰვარს მოსწამლავდა. მაგრამ



ბუნება ფრთხილი და გონიერი მზრუნველია: ტუუილად კი არ მოუწევია ისე, რომ ეველა სულდგმულთ კავშირი და ურთიერთობა აქვთ და სსვა-და-სსვა საზოგადოებას ადგენენ. თვითუული წვერი ამ საზოგადოებისა თავის სიკეთისთვის ზრუნავს და თვეთონაც არ იცის, რომ ამავე დროს სინიდი-სიერად მუშაობს მთელი საზოგადოების სასარგებლოდ.

თავმდაბაღმა ნესვის ჭიებმა თავის ნებით იკისრეს სისუფთავის დამცველების და ნაკვის მზიდველების თანამდებობა: ისინი ზრუნავენ თავისთვის და თავის შთამომავლობისთვის; ამავე დროს დედაშიწას და ჭაერს ასუფთავებენ.


F241

აი, თქვენ თვალწინ ახალდაერილი ნესვის გროვია. რა მოძრაობაა ამ გროვის ახლოს! რამდენ ზატარა და დიდ ნესვის ჭიებს მოუერთია აქ თავი! ეველა ჩქარობს, ეველა მუშაობს: თვითუულ მათგანს უნდა წაიღოს თავისი წილი საერთო ქადიდან, სანამ მსე ამოვა და გაახმობს ამ მადლიან ნესვის გროვას; ზოგნი თვალსაჩინოდ მუშაობენ ნესვის შედაპირზე. ზოგს



ნესვის ჭიები მუშაობის დროს.

სურს უფრო კარგი ლუკმა იმოვოს და ნესვის შუა გულში იკეთებს გზას; ზოგნი ნესვის დაბლა ნაწილში ძვრებიან. სულ ზაწია ბუხანკალები იმ ნამცეცებს ეტანებიან, რომლებიც მოზრდილებს, სიქარის გამო, გზაში რნებათ. მოძივებულნი, ისინი აქვე სჭამენ თავის წილს, და მომავლისთვის არ ფიქ-



რობენ. ბუხანკალთა უძრავლესობა კი იმისათვის ზრუნავს, რომ საკეები ბლომად დაიშადოს და მერმე თავისუფლად დასტკბეს თავისი შრომის ნაყოფით.

სუნის შემწეობით ამ სასიხარულო განძის ამბავი დიდ მანძილზე ვრცელდება. ამ მიდამოს უკვლავ მცხოვრებნი შოიჩქარიან, რათა მიიღონ თავისი წილი. განუწყვეტლად მოდიან: ზოგნი ფეხით, ზოგნი ფრენით.

როდესაც მზე ამოვა და დაცხება, ბუხანკალები მუშაობას თავს ანებებენ, მიწაში იმალებიან და თავისუფლად სჭამენ იმას, რაც ღამე შეუგროვებიათ და მზის ჩასვლამდის არ სტოვებენ თავის ბინას.

აი, უკვე ბინდდება. მშვენიერი, თბილი საღამოა. ჰაერში ხმაურობა ისმის: ეს ნესვის ჭიები გამოძვრენ თავის სოროებიდან, აქეთ-იქით დაფრინავენ და ახალ სამუშაოს ეძებენ.

აი, ჩვენს ახლოს მოფრინავს დიდი ბუხანკალი. შესედეო, როგორ ელვარებს მისი მოღურჯო შავი ტანი! რა მშვენიურად მორთულია! ვერცაერთ ლაქას, ერთი ბეწო მიწის ნამცეცს ვერ იპოვით მის სსეულზე. არც სუნი მოგაკონებს მის ხელობას. რამოდენიმე ჰატარა, მოვეითანო ობობა მის მოელვარე, ლილის ფერ მუცელზე ზის. ეს ობობები ნესვის ჭიის მუქთა—ხორა ჰარაზიტები არიან: მაგრად ჩასჭიდებიან ამ მუცელს, სწუწიან იქიდან წვეს, მოგზაურობენ ბუხანკალებთან ერთად, აქვე აჩენენ შვილებს: ერთი სიტყვით, არასოდეს არ მორდებიან თავის ჰატრონებს. მთელი მათი სიცოცხლე ნესვის ჭიისაკანაა, დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი უნუბლიედ ატარებს და ჰეკვება მათ.

აღლო ნესვის ჭიას განაცარი აქვს. აი, ნესვის ჭია დიდ წრეებს უვლის ჰაერში; ეს იმას ნიშნავს, რომ მან ახალი ნესვის სუნი იგრძნო. წრეები ჰაერში ახლა უფრო და უფრო შემცირდა; ერუ ხმაურება მსიარულ ბუხილად იცვლება. უცბად

ჭია ეცემა სწორედ იმ ადგილას, სადაც ახალი ნესვის გროვაა, ადის ნესვზე, ეულობა შივ ძირამდი და მაშინვე სოროს თხრას იწეებს. შემდეგ სოროს ნესვით ავსებს. ასე მუშაობს ჭია მთელი ღამე, თითქო ჩქარობს, რომ მთელი სიბინძურე, რომელიც დღის განმავლობაში გროვდება, მიწაში ჩაუღლას. ნესვის ჭიები მუშაობენ მარტო თბილ და წენარ ღარში. თუ წვიმს, ან ქარი ჰქრის, ან ცივა—ნესვის ჭიები სრულიად არ გამოდიან თავის სოროებიდან; მიწის ქვეშ ბევრი სანოვაკე აქვთ შენახული და საჭიროც არაა, რომ წვიმის დროს ამოცოცდნენ დედამიწის ზურგზე.

შენიშნულია შემდეგი: თუ საღამოს ნესვის ჭიები მხიარულად დაფრინავენ, სძამაღლად ბზუიან და მიწას სთხრიან, მეორე დღეს უსათუოდ კარგი დარი იქნება.

ერთ მკვნიერს, სახელდობრ ფაბრს, ძლიერ აინტერესებდა სიძარტლის გაკება: დაიჭირა ნესვის ჭიები, შუშის ეუთმი ჩასვა, საჭმელს საკმარისად უერიდა. დაუწყო ეურადღებით თვალიერება. ფაბრმა დაამტკიცა, რომ ნესვის ჭიას წინდაწინ შეუძლია იგრძნოს, რა დარი იქნება მეორე დღეს. აი, რას სწერს ამაზე ფაბრი: „მშვენიერი დარია. ჩემი ნესვის ჭიები მხიარულად დაფრინავენ, სურთ მოუთმენლად სამუშაოზე წასვლა. მეორე დღეს მართლა მშვენიერი დარია. შემდეგ დღესაც მშვენიერი საღამოა. ცა მოწმენდილია, ზედ არცერთი დრუბელი არა ჩანს. ადამიანი დარწმუნებულია, რომ მეორე დღეს კარგი დარი იქნება; ჩემი ნესვის ჭიები კი სხვას ფიქრობენ და მიწაში რჩებიან. ვინ არის მართალი: ადამიანი თუ ნესვის ჭია? მთელი ღამე წვიმს, და თქვენ რწმუნდებით, რომ ჭია მართალი იყო. მან თავისი მახვილი გრძობით შეიტყო ის, რაც მე ვერ მივხვდი: რომ რამოდენიმე საათის შემდეგ წვიმა მოვა; ამიტომ თავს არ იწუხებს და სოროს არ სტოვებს.

„სამხრეთის ქარმა ღრუბლები მორეკა. ნეტავი თუ იწვი-
მებს? დარწმუნებული ვარ, რომ იწვიმებს, მაგრამ ჩემი ნესვის

ჭიები მხიარულად დაფრინავენ თავის ეუთში. მართლაც, ღრუბლები იფანტებიან და მეორე დღეს კარგი დარი დგება. ჭიები ისევე მართალნი გამოდგნენ.

„განსაკუთრებით მოქმედებს ნესვის ჭიებსე წინაგრძობა ჭექა-ქუხილისა. თბილ, დასუთულ საღამოზე, რომელიც ჭექა-ქუხილს მოასწავებს, ნესვის ჭიები განსაოცარ ფაცა-ფუცში არიან, შეწუსებულნი დაფრინავენ თავის ეუთში; მეორე დღეს, ან უფრო ადრე, უსათუოდ ქუხილი გაისმის.


„შემდეგ ამ დანკვანძვე მიძიევანა ჩემმა დაკვირვებამ სამი თვის განმავლობაში: როგორც უნდა იყოს ცა საღამო ხანს თუ ნესვის ჭიები მხიარულად დაფრინავენ, მეორე დღეს უსათუოდ კარგი დარი დადგება; თუ განსაკუთრებით აღელვებულნი არიან, ჭექა-ქუხილს უნდა მოველოდეთ; თუ სოროდან არ ამოდინან, ეს ავდრის ნიშანია“.

დგება შემოდგომა. ნესვის ჭიებს ახალი სასრუნავი უნდებათ. მუდამ თავის თავზე სომ არ იფიქრებენ: დროა ახლა შთამომავლობისთვის იზრუნონ. ჩავა თუ არა მზე და დედამიწას სიბნელე მოიცავს, მთელი გროვა ნესვის ჭიებისა იწუებს აქეთ-იქით ფრენას; მიფრინდებიან ბოლოს ნესვის გროვასთან, თავიანად შიგ ყულებიან და მუეაითად სოროს თხრიან. ეს სორო ბევრად უფრო ჰატარაბ იმაზე, რომელსაც თხრიან სამთარში დასაბინაველად. მისეზი ადვილ-განსაკებია. ნესვის ჭია ბევრ კვერცხს დებს; თითო სოროში კი მარტო ერთ კვერცხს ათავსებს. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი დრო დასჭირდებოდათ ჭიებს, რომ დრმა სორო ამოეთხარათ: 4-5 კვირის განმავლობაში მათ უნდა მოუმზადონ ბინა და სახოვავე მრავალრიცხოვან ოჯახს. დრო ისეც ბევრი სჭირიათ. კარგი კიდევ, რომ დედან მარტო არ უსდება მუშაობა: ეველაფერში ერთგული მეუღლე ემხარება. ნესვის ჭიები ეოველთვის ისე სთხრიან სოროს, რომ შესავალი არ ხნანს; ნახერეტი ბოთლის ეელის

სიგანება და არც ერთი შესახვევი არა აქვს; ჰირდაზირიან სულ უბრალო. ამისთანა ბეჯითი მთხრელებისაგან, როგორც არიან ნესვის ჭიები, თქვენ უსათუოდ მოკლოდით უფრო სელოვსურად გაკეთებულ ბუდეს; მაგრამ თუ გაბისწებთ; რამდენ ბავშვს უნდა გაუკეთონ იმათ ბუდე, მისუდებით, რომ სილამაშესე ფიქრის დრო არა აქვთ.

დედალი დებს კვერცხს; ბინის ქვედა ნაწილს (14 არშინის სიმაღლესე) ავსებს ნესვით. ადვილად მინვდებით, რომ ნესვი სანოვაგეა ზატარა შვილებისთვის.

სანამ ამბავს განვაგრძობდეთ, უნდა აღვნიშნო, რა ჭკვიანად იქცევა ჭია, როდესაც სოროს ნესვის ქვეშ აკეთებს. ასე რომ არ გაეკეთებია, წარმოიდგინეთ, რამდენი მუშაობა და დრო დასჭირდებოდა სორომდი ნესვის მოსატანად. სწორედ იმიტომ, რომ დრო არ



ნესვის ჭიის სორო და ქვევითი ნაწილი — კვერცხი.

დაკარგოს, სოროს ნესვის ქვეშ იკეთებს; არც დროს ჭკარავს და თანაც სორომი შესახველეს ჭუარავს. ნესვი სმება, სკდება, მისი ნატესი ჭუჭრუტანას ჭხურავს. სოროს ქვედა ნაწილში, ნესვის ფაფის ქვეშ, დატოვებულია თხილის ოდენა ცარიელი ადგილი. ამ ოთანში ძვეს თეთრი, ჭიანთან შედარებით დიდი კვერცხი. ერთ სოროს რომ მოაწუებენ, მეორეს მოჭკიდებენ ხელს, მერმე შესამეს შეუდგებიან; დიდხანს და დაუღალავად მუშაობენ ცოლქმარი, სანამ ეველა კვერცხისთვის ბინას არ მოაწუებენ და შივ საკმარის სანოვაგეს არ შეიტანენ.

აი, მძიმე სამუშაო გახდავეს, ვეკლა კვერცხებს ბინა პოუშნადეს; ახლა შეუძლიათ დაისვენონ და ძალ-ღონე მოიკრიბონ.

ენკენისთვეში და ღვინობისთვეში, როდესაც შემოდგომის წვიმა დედაძინას კარად დაასველებს, ნესვის ჭიები ხელახლად იწეებენ მუშაობას. ახლა ზამთრისთვის იმზადებენ სოროებს. სოროებს უფრო ღრმად მიწაში თხრიან, არშინ ნახევარის სიღრმეზე, რომ რაც შეიძლება უფრო ღრმად დაემბლონ სიცვიეს დედაძინაში; თავისუფალი დროც ბევრი აქვთ, ღონეც შესწევთ, სამუშაო კი ნაკლები აქვთ, ასე რომ შეუძლიათ კარგად მოაწონონ ზამთრისთვის ბინა. აკეთებენ სოროს, ავსებენ დიდძალი სანოვაგით, ძვრებიან შიგ და ზაფხულამდე დედაძინის ზურგზე არ ამოდიან.

იმ სოროებში სადაც კვერცხები დევს, ახალი სიცოცხლე იწეება. გაივლის ორი კვირა, ან ცოტა მეტი, ან ნაკლები, კვერცხების დაღების შემდეგ, და კვერცხებიდან, დარის მისედვით გამოიჩეკება პატარა სასაცილო ჭია, შუაში კავსავით გადაღუნული, და მაშინვე იწეებს დამზადებული ნესვის ჭამას. საფიქრებელია, რომ ნესვში მომწუდებული ჭია ვერ დაიცავს სისუფთავეს: მადნ ხომ მშვენიერი აქვს, განავალი კი ისევ სოროში



ახალ გამოჩეკილი ჭია.

რჩება. მაგრამ არ გეგონათ, რომ იგი ჭუჭყიახნი, თავის სახიზღარ განავალში ამოსვრილი ჭიაა. არ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა ამ ჭიაზე უფრო სუფთა მწერი! იგი თეთრი, სუფთა და კრიალბა. როგორ ახერხებს თავისი ბინის და სხეულის ასე სუფთად შენახვას? საქმე აი რაშია: იმან იცის, სად უნდა გადაუაროს

განავალი, რომ მისგან სარგებლობა ნახოს. თავისი განავალით ის კედლებს ღესავს და სიცვიისგან თავს იფარავს.

ჩქარა იზრდება ჭია, კანს იცვლის და ისევ იზრდება; სწამს სანოვაგეს და ზევით და ზევით მიცოცავს. განავალის

ერთი ნაწილით გარეშაში კედლებს ჰლეხავს, ნაწილი კი რბილ ცომად გროვდება. სანამ სითბოა, ჭია სულ ჭამას უნდება: სჭამს და სჭამს; როცა აცივდება, იგი ხაცოცდება ძირს, თავისი მოღუწული ტანით რბილ ცომში საწოლს იკეთებს და იძინებს.

ჭიის ზრდა უკვე დამთავრებულია ქრისტეშობისთვის; ახლა შეუძლია ფუძელად გადაიქცეს, მაგრამ სიცოცხე ხელს უშლის, ამიტომ თბილ გაზაფხულამდე ძილს არჩევს.

აზრილის თბილი დღეები აღვიძებენ ჭიებს: ისინი წამოიწევიან თავის ლოკინზე, საძინელ შიშხილს გრძნობენ და ზევით მიცოცავენ. ბევრი სანოვავე აქვთ შენახული, მაგრამ რადგანაც ეჩქარებათ, აღარ ფიქრობენ იმაზე, სად და როგორ სჭამონ: სძირად ბინის კედლებსაც ხვრეტენ და ახგრევენ. კაცი ვერც-კი იცნობს, ისეთ საცოდავ ნახგრევეებს წარმოადგენს ახლა ჭიის სორო; მარტო ქვედა ნაწილია მთელი; აქ, როგორც განსოვთ, ვუთხავით საწოლი აქვთ გაკეთებული: სწორედ აქ მოცოცავენ ხვენი ჭია. როდესაც შიშხილს მოიკლავს, წვება, იკეთებს იმავე მასალიდან სახურავს და გამოიშუვდევს თავს ვიწრო უჯრედში.

თორმეტი დღის შემდეგ, მაისის დასაწყისში, კანი სურგზე უსკდება, დანარჩენი—სძვრება და ჩნდება მშვენიერი, თეთრი, ნახევრად გამჭვირვალე ფუძელა. 4-5 კვირაში ფუძელა ნესვის ჭიად იქცევა. ჯერ კიდევ მუცელი და ფრთის ზედა ნაწილი თეთრი აქვს, მაგრამ ჩქარა მთლად შავდება, და მკათათვის შუა რიცხვებში ის თავის მუქ-ლურჯ ტანისამოსში გამოწეობილი საღამომით გამოდის იმ საქმის განსაკეთებლად, რომელიც ბუნებამ მას არგუნა.

9. ა.



ფემოფირულეა

ქართო რედაქტორო!
 სოფ. ძეგურისსევში 9 მარიამობისთვის ჩვენ, ბავშვებმა, გავ-
 მართეთ საბავშვო წარმოდგენა, რომლის შემოსავალს, 9 მანათს,
 უკლებლად გიგზავნით. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ წელისაგან
 დასარალეებულ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს.

წარმოდგენაში მონაწილეობას ვიღებდით შემდეგი ბავ-
 შვები: ქეთო და შიტრო კამრეკელი, ქეთო იმნაძე, მარო ლიაძე,
 ლექსო ხსურტაშვილი, ლეო ახალშენიშვილი, თამრო უვიფინაძე.
 ლეო ახალშენიშვილი

რეცუსი

(წარმოდგენილი დიამიდეს მერ.)



მ ტოტი
ანუ? "



რა უბე-
რავს? "



იმერეთში ზურის
მაგიურად სჭამენ.



ა

მე-14 №-ში მოთავსებულ რეზუსის ახსნა.
 ვინც პოითმენს, ის პოიგებს.

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“ № 1

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი ნაკადული გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. **12** მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ. გვირგვინი.

საზუსტად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: დასურათებულ **„ხალხური ზღაპრები“**, —სამეცნიერებაში შეკრებილია იოსებ ყიფშიძის შიგრი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.**, ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მ.**, მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.**, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7 მ.**, ნახევარი წლით **4 მ.**

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში** — ისიდორე კვიციანიძესთან, შ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიისში** — ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში** — თეოფილ კანდელაკთან დაკ. თელიასთან. **ბათუმში** — ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ჭ. ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ჭ. **ლანჩხუთში** — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ნინო გელაშვილთან. **გორში** — ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში** — ივ. გომელაურთან. **ერევანში** — კ. ოდიშარისთან. **აღმ. ქსანდროპოლში** — ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სპ. მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. ქაქანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი ბ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.